დანართი №2. მრავალწლოვანი კულტურების გაშენების ქვეკომპონენტის ფარგლებში დასაფინანსებელი ხარჯები

1.მრავალწლოვანი ბაღების თანადაფინანსების მიმართულების ფარგლებში ფინანსდება:
ა) სერტიფიცირებული სარგავი მასალა და დარგვის სამუშაოები;
ბ) ნიადაგის მოსამზადებელი სამუშაოები;
გ) წვეთოვანი სარწყავი სისტემის სრული კომპლექტაცია (მათ შორის, არაუმეტეს ერთი ტუმბო და ერთი წყლის დაგროვების ავზი) და მისი მოწყობა/მონტაჟი;
დ) საყრდენი სისტემის სრული კომპლექტაცია და მონტაჟი;
ე) ნერგის შტამბის დამცავები და/ან ნერგების სამაგრი ჭიგოები/სარები;
ვ) აგრო (გეო) ტექსტილის ფირი;
ზ) ქოთანი და სუბსტრატი მცენარეების დასარგავად (მხოლოდ ლურჯი მოცვის კულტურისთვის);
თ) მცენარის პირველი წლის მოვლის საშუალებები;
ი) ელექტროგენერატორი (ერთი ერთეული) სარწყავი სისტემის მომსახურებისთვის, ახალი, ექსპლუატაციაში არმყოფი;
კ) კლიმატის მონიტორინგისთვის აგრომეტეოსადგური და მისი მონტაჟი.
2. სეტყვისგან დამცავი სისტემების მოწყობის თანადაფინანსების მიმართულების ფარგლებში ფინანსდება:
სეტყვისგან დამცავი ბადეები, საყრდენი და დამჭერი კონსტრუქცია და მათი მონტაჟი.
3. ჭის/ჭაბურღილის მოწყობის თანადაფინანსების მიმართულების ფარგლებში ფინანსდება:
ჭის ან ჭაბურღილის (ერთი ერთეული) გაბურღვა, მილების და ტუმბოს ინსტალაცია/მონტაჟი (არაუმეტეს 100 მეტრი).
4. წაყინვის საწინააღმდეგო სისტემების თანადაფინანსების მიმართულების ფარგლებში ფინანსდება:
წაყინვის საწინააღმდეგო სისტემები და მონტაჟი.